№ 124

შაბათი, 13 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 124

შაბათი, 13 ივნისი, 1898

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ა. ს. როინაშვილის

**ფოტოგრაფია,**

რომლისთვისაც ახლად შენდება სახლი, დროებით გადავიდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზედ, სადაც მოთავსებულია მისივე განყოფილება რემბრანტის ფირმით.

(5—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სად[illegible]ქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. შროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—34).

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა: ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ჰეჰინაძეს; ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ფერაძეს.

გამწესებულ იქმნენ ისიდორ ნაჭყებია—ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად; თავად ნესტორ ლორთქიფანიძე—ტფილისის პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელედ.

გადაყვანილ იქმნა ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი კალისტრატე ეჯიბაია—აქსტაფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ალექსანდრე თურქესტანიშვილი—ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში; ტფილისის სამოსამართლო პალატის მდივნის თანაშემწე გასილი ბრომძელი—ტფილისის სასაზინო პალატის სტოლის უფროსად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნით, აქსტაფის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსანდრე ბახტაძე.

## ახალი ამბავი

*** ქ-ნმა მარია გლეზერმა, რომელსაც რამდენსამე წლის განმავლობაში უცხოვრია ტფილისში, 17 მაისს ქ. ვენის „სამეცნიერო კლუბის“ დარბაზში წაიკითხა ლექცია ქართველ დედაკაცის შესახებ. ვენის გაზეთები ძლიერ აქებენ ამ ლექციას. ქ-ნმა გლეზერმა მართლა მშვენივრად დაასურათა ქართველთა ყოფა-ცხოვრებაო, ამბობენ ვენის გაზეთები, მაგრამ რაც შეეხება ლექციის იმ ნაწილს, რომელიც კერძოდ ქართველ დედაკაცს შეეხება, აქ-კი ლექციას ბევრი ნაკლი აქვს, რადგანაც ქ. მარია გლეზერმა ილაპარაკა ქართველ დედაკაცის ისეთ თვისებებზე, რომელიც საერთოდ ქართველს ქალს არ მიეწერება, მაგრამ ის-კი მადლობის ღირსია, რომ ქ-ნი გლეზერისა საზოგადოდ დიდის თანაგრძნობითა და სიამოვნებით იხსენიებს ქართველებს. დასასრულ ლექტორმა წაიკითხა რამდენიმე ქართული ლექსი, რომელიც თითონ უთარგმნია გერმანულს ენაზე. ამბობენ, რომ ქ-ნ გლეზერსა ჰსურს იმავე ენაზე სთარგმნოს თ. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“.

*** ვენაში გარდაიცვალა ცნობილი ფილოლოგი და კარგი მცოდნე აღმოსავლეთის ენებისა პროფესორი ფრიდრიჰ მიულლერი. მიულლერმა გამოსცა თვისი შესანიშნავი თხზულებანი შესახებ სპარსულის ენისა და ლიტერატურისა, სომხურის ენისა და ლიტერატურისა და „საერთო ეთნოგრაფია“. ამ წიგნში პროფესორს ერთა ეთნოგრაფიულად დაყოფის საბუთად მიაჩნია გონების სხვა-და სხვაობა, თუმცა სახეშია მიღებული აგრეთვე საზოგადოდ ის სხვა-და-სხვაობაც, რომელიც საანთროპოლოგიო მეცნიერების საგანს შეადგენს.

*** წელს ტფილისის საფერშლო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 15 მოსწავლემ, ქართველთაგან შვიდმა, სახელდობრ: გიორგი ანდღულაძემ, პოლიკარპე ბოჭორიშვილმა, ივანე დოლიძემ, ბენიამე შაქარიშვილმა, გრიგორი კანდელაკმა, მიტროფანე ბერეჟიანმა და იასე მაღულარიამ. დანარჩენთაგან 4 რუსმა, 3 სომეხმა და ერთმა ლეკმა.

*** ტფილისის პირველ გიმნაზიაში წელს სწავლა დაუმთავრებია და მოწმობა მიუღია 48 მოწაფეს ამათში 25 რუსია, 7 ქართველი, 10 სომეხი, 3 ებრაელი, 2 პოლონელი და 1 ოსი. გარდა ამისა მოწმობა მიუღია კიდევ 4 სხვა ყმაწვილ კაცს. ოქროს მედალი მიუღია 4 კაცს, ამათში ერთს ქართველს—კონსტანტინე ჩერქეზიშვილს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა მიჰმართა საბჭოს კომისიას თხოვნით, რომ მალე გადასწყდეს ეგზარხოსის მოედანზე ბაღის გაშენების საქმეო. ამ მოედანის გარშემო სახლის პატრონებს უკისრიათ ბაღის გასაშენებლად საჭირო ფულის გადახდა.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის საზოგადოების დირექტორს მიუწერია ქალაქის გამგეობისათვის, თუ ცხენის რკინის გზა ისევ ჩვენს ხელში დარჩება, ყოველ წლივ 50 ათას მანათს მოგცემთ და ჩვენვე ვკისრებთ ყოველგვარ ხარჯს შუაბაზარზე ლიანდაგის გამართვისთვისაო.

*** ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა: ასის წლის შესრულებისა გამო მას აქედ, რაც ტფილისში რუსეთის მმართველობა დაარსდა (1901), გამოცემულ იქმნას ქალაქის ისტორია: თითო წიგნი ეღირება 10 მანათად. სულ დაიბეჭდება 500 ცალი.

ამ წიგნის გამოსაცემად და წერილების ავტორების ჯილდოდ გადადებულია 15,000 მანათი. კომისიას განზრახვა აქვს იგივე ისტორია გამოსცეს შემოკლებით. ამისათვის გადადებულ იქმნა კიდევ 2,000 მან.

*** პეტერბურგში არსდება ახალი ამხანაგობა ღვინის მწარმოებელთა, რომელსაც ძირის თანხად 400,000 მან. ექმნება. ამხანაგობას აზრადა აქვს იყიდოს და ჰყიდოს უმთავრესად ჩრდილოეთ-კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ღვინოები.

*** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრმა კოლჩევსკიმ საზოგადოებას განსახილველად

## ფელეტონი

### „ეკონომიური ბრძოლა ერთა შორის, როგორც შედეგი მათის საჭიროება მოთხოვნილებების სხვა-და-სხვაობისა“.

(წერილი le Bon-ისა)

ამ რამდენისამე წლის წინად „Revue Scientifique“-ში ერთმა მწერალმა იწინასწარმეტყველა, რომ ორთქლისა და ელექტრონის მეოხებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოვება ძლიერის საეკონომიო ბრძოლით გათავდებაო. ჩვენ ეხლა სწორედ ამ გაცხარებულის ბრძოლის მაყურებელნი ვართ. დიდი ხანია შეჰქონდა ევროპას თვისი ნაწარმოები აღმოსავლეთში, ეხლა-კი ჯარა უკუღმა დატრიალდა, ყველაფერი გამოიცვალა და აღმოსავლეთი ავსებს თვისის ნაწარმოებით ევროპის ქალაქებს. რასაკვირველია, ეს ევროპისათვის დიდად სამწუხარო არ იქნებოდა, აღმოსავლეთის ნაწარმოები რომ ევროპაში ევროპიელებისვე ნაწარმოებზედ გაცილებით უფრო იაფი არ იყოს. ეს იმისთვის ხდება, რომ ევროპის მუშა დღითი დღე იბრძვის—ცოტა იმუშაოს და ქირა ბევრი ხიდოს, ხოლო აღმოსავლეთის მუშას ეს ფიქრადაც არ მოსდის და, როგორც ცოტა მოთხოვნილების პატრონი, მცირე სამუშაო ქირით და ხელფასითაც კმაყოფილდება.

ინდოეთმა ისარგებლა ევროპის გაუმჯობესებულ მანქანით და ეხლა ევროპას უგზავნის არამც თუ პურს, არამედ სხვა-და-სხვა ქსოვილს, რომელიც წინად თვითონ მანჩესტერიდგან შემოჰქონდა. ჩინეთიც ხომ ამ გზას დაადგა ამ ცოტა ხანში.

ევროპას ჯერ იმედი არ დაუკარგავს და შველა-ხსნას, ე. ი. აღმოსავლეთის ნაწარმოების ევროპაში შემოტანის შემცირებას, დამოჯნებში ჰხედავს. მაგრამ ეს როდემდის გასტანს?. ჯერ ჩინეთს და ინდოეთს ვერ მოუხერხებიათ ისარგებლონ და გამოიყენონ რამე თვითონვე იმოდენა აუარებელი შავი ქვა, რომელსაც ისინი ჰფლობენ, თორემ მაშინ ევროპიელი მუშა იძულებული შე იქნება თვისი მოთხოვნილება-საჭიროება ინდოელისა და ჩინელისას შეუბადლოს. ამ გვარად, სოციალისტების ოცნების წინააღმდეგ ზემოდ აღნიშნულ მიზეზთა გამო ევროპიელი მუშის ქირა-ხელ-ფასი თუ დამცირდება, თორემ მომატებას ვინლა იჩივლებსო.

როდესაც ეს აზრი ავტორმა პირველად გამოსთქვა, ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა ეთანხმებოდა, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდნენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ საჭიროების მოთხოვნილება აზიელ მუშისა, განათლების გავრცელების მეოხებით მოიმატებს და სამუშავო ქირა ევროპასა და აზიაში ერთი და იგივე იქნებაო.

მაგრამ მათ აქაც ავიწყდებათ ეროვნულის ხასიათის სიმყარე-უცვლელობა, რასაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზედაც ვხედავთ. ჩინელები დიდი ხანია, რაც ამერიკასა და ავსტრალიაში დაემკვიდრნენ, მაგრამ რასა ვხედავთ: ჩინელს არავითარი გარე შემორტყმული სიმდიდრე არ იტაცებს და დღემდის ერთის ფინჯანის ჩაით და ერთის მუჭა ბრინჯითაც-კი კმაყოფილია.

ევროპიული განათლება იმათს თავისებურ სულიერ აგებულობას ადვილად ვერ ეთვისება და ამისათვის არც იმოდენა გავლენა აქვს, რომ მისი საჭიროება მოთხოვნილების რაოდენობა შესცვალოს. ვისაც უნახავს როგორ ჰმუშაობენ და სცხოვრობენ ინდოელები, იმან უკვე იცის, რომ მათ ვერავითარი სიმდიდრე ვერ გაიტაცებს, თუ დღიური მცირე საზრდო მაინც მოეძევებათ.

ეს ეკონომიური ამბოხება, რომელიც აზიელ მუშას ბაზარში უპირატესობას აძლევს, ჯერ თითქმის ეხლა იწყება, მაგრამ ძლიერ ახლოა ის დრო, როდესაც ევროპა სულაც შესწყვეტს თავისის ნაწარმოების სხვაგან გადატანას.

ამერიკის შესახებ ეს უკვე ასრულდა, მაგრამ ამერიკელი მუშა მაინც ისევ ევროპიელი მუშაა შთამამავლობით და ევროპიული მოთხოვნილება აქვს; ამისათვის მისი ნაწარმოები არასოდეს არ იქმნება ძლიერ იაფი. ევროპამ რომ თავი დაანებოს ამერიკაში თავისის ნაწარმოების გზავნას, მაშინ არც იმას უნდა ჰქონდეს შიში ამერიკულის ნაწარმოების ევროპაში გაძლიერებისა. მაგრამ ინდოეთს და ჩინეთს რომ ასე მოექცეს, მაშინ სულ სხვა საქმეა. იქაური მუშა კიდეც რომ მიეჩვიოს ევროპიულ გემოვნებას, მაინც ევროპა უფრო ადრე იქმნება იძულებული დაამციროს ფასი თავისის სავაჭროსი „minimum“-ამდე.

აქედგანა სჩანს, რომ დამოჯნებისაგან მოსალოდნელი სიკეთე ვერაფერი იმედია. ესეც რომ არ იყოს, ევროპას მაინც არ შეუძლიან უსხვისოდ გასძლოს და თავი თვისისავე ნაწარმოებით გაიტანოს.

წარუდგინა იმ კომისიის მოსაზრებანი, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის შესანახ საშუალებათა მოპოვება. კომისიას ორი სხდომა ჰქონდა და დაადგინა: 1) შემცირდეს სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვი ისე, რომ სასწავლებლის პანსიონში სცხოვრობდეს 50 მოსწავლე და გარედგან იაროს 10-მა და დღეიდგან პრაქტიკანტებად ნუღარავინ ნუ იქმნება მიღებული, რადგან ისინი რასაც არა ჰვნებენ მოსწავლეთ, არაფერი სარგებლობა არ მოაქვთო; 2) დარჩეს მოსამზადებელ კლასის მე-II განყოფილება სასოფლო-საერო სასწავლებლის მოსწავლეთა მისაღებად; 3) მოსწავლეთა თვალ-ყურის საგდებლად დაარსებულ იქმნას მეთვალყურის თანამდებობა წელიწადში 450 მან. ჯამაგირით და აღმზრდელისა 180 მან; 4) საჭიროა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ სასწავლებლის შესანახად გადასდოს წელიწადში 3,500 მან. და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ—1,000 მან.; 5) ვთხოვოთ მიწათ-მოქმედების სამინისტროს 5,000 მანათი სასწავლებლის შენობის განსაახლებლად და ღობის შემოსავლებლად; 6) გადიდებულ იქმნას სასწავლებლის ბაღი და ამ აზრით ბაღს შემოუერთდეს დიდუბის $1\frac{1}{2}$ დეს. სახელმწიფო მამული; 7) სასწავლებელში მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა სოფლის მცხოვრებელთა შვილებს მიეცეთ; 8) მოსწავლეთა-ცხოვრება უნდა იყოს უბრალოდ მომართულ-მოწყობილი და არა ისე მდიდრულად, როგორც დღეს და 9) შუამდგომლობა იქმნეს აღძრული იმის შესახებ, რომ სასწავლებლის მახლობლად მდებარე ბაღები და გასართობი სახლები დაკეტილ იქმნენ, სახელდობრ „ალაზანი", ყოფილი „სტრელნა" და სხვა.

⁂ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა წინადადება მისცა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ შენი აზრი გამოსთქვი დედათაშორის სასოფლო-სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელების შესახებაო. დეპარტამენტს განზრახვა აქვს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, განსაკუთრებული ინსტიტუტები და კურსები დააარსოს მეურნეობის მცოდნე ქალთა მოსამზადებლად.

⁂ მოგვყავს დაწვრილებითი ცნობები კობახიძის მკვლელობის შესახებ. კობახიძე 60 წლის მოხუცებული კაცი იყო, ცოლად ჰყავდა ქვრივი ქალი და გერი ხმელაძე. სახლობას ჩარჩობით არჩენდა და ისე მცირე შემოსავალი ჰქონდა, რომ დღიურად ძლივს გამოდიოდა. ცოლსა და ქმარს შუა მუდამ ჩხუბი იმართებოდა, ჩხუბი უფრო-კი გერის გამო მოუვიდოდათ ხოლმე, რადგან ის არაფერს აკეთებდა და ცუდაობაში ატარებდა თავისს ცხოვრებას. მუდმივმა ჩხუბმა და დავიდარაბამ ერთმანეთს გადაამტერა გერი და მამინაცვალი. ცოტა რამ მიზეზი საკმარისი იყო, რომ რაიმე უბედურება დატრიალებულიყო. მიზეზიც მალე გამოჩნდა. ოთხშაბათს, 10 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, კობახიძე სახლში დაბრუნდა თუ არა, ჩხუბი მოუვიდა ცოლთან. ჩხუბის დროს კობახიძემ მიიწია ცოლის საცემლად და ხმელაძე მიეშველა დედას. ხმელაძესა და კობახიძეს შორის ბრძოლა დაიწყო. ხმელაძემ დაავლო დანას ხელი და დაჰკრა მამინაცვალს გულსა და მუცელში. კობახიძემ ჩაიჩოქა, მაგრამ ხმელაძე არ შეჩერდა და დანის ცემა განაგრძო. დედამ წივილ-კივილი დაიწყო. ყვირილზედ თავი მოიყარეს მეზობლებმა. ეცნენ ხმელაძეს, ძლივ-ძლიობით წაართვეს დანა. მკვლელობის ჩადენა ეცნობა გამომძიებელს, რომელიც საბრალმდებლო მთავრობის წარმომადგენელთან ერთად მოვიდა საქმის გამოსაძიებლად. ხმელაძე დაპატიმრებულ იქმნა. იქვე დამსწრეთ ჩვენება ჩამოერთვათ და მეორე დღეს ხმელაძე გაგზავნილ იქმნა მეტეხის საპატიმროში.

⁂ გაზაფხულის სიცივეებმა ქართლი ცოტად არ აზარალა: დაახმო ვენახები, ხეხილს გააყრევინა ყვავილი და ჯეჯილი ზევით არ ამოუშვა. გამოცდილნი ამბობენ, რომ წრევანდელი მოსავალი გაცილებით მცირე იქნება შარშანდელზედაო. თითქმის მაისის შუა რიცხვებამდე მოსავალზედ იმედ-გარდაწყვეტილები ვიყავით, მაგრამ შემდეგ თითქოს დროზე მოსწრებულმა წვიმებმა და დასავლეთის ქარმა იმედი მოგვცა და შეიძლება ყანები გამოგვიბრუნოს და მოსავალიც უხეიროზედ ცოტა უკეთესი იყოს, თუ კიდევ რამე უბედურება არ დაგვატყდა თავს.

⁂ „მთავრობის მოამბე" იუწყება, რომ თავ. წერეთელს ნება მიეცა გამართოს სამი ახალი შტო რკინის გზისა, რომლებიც ჭიათურის რკინის გზას შეუერთდება.

⁂ „კავკასი" იუწყება, რომ ბაქოში შემდგარა ამხანაგობა მდიდარ სომხებისა, რომელთაც განზრახვა აქვთ შეისყიდონ მთელს ამიერ კავკასიაში გლეხების მამულები.

⁂ გაზეთი „კავკასი" სწერს, რომ მისთვის მიუმართავთ წერილით ზოგიერთ სახლის პატრონებს, რომელთაც სახლები აქვთ ვერის სასაფლაოსთან და ჩივიან, 20 და 30 წელიწადია, რაც აქ სახლები ავიშენეთ და ვცხოვრობთ, არც ერთხელ არავის არ შეუწუხებივართ და ეხლა გაჩნდნენ ვიღაც მელვინოვი, ცაბაძე და პატრიანცი და ეს ადგილები უნდა წაგვართვან ვითომ იმ მიზეზით, რომ ეს ადგილები ქ-ნ თამამშოვისაგან ვიყიდეთო. სახლის პატრონები-კი ამტკიცებენ, რაც აქ სახლები აგვიშენებია, არავის დავა არ ჰქონია ჩვენთან და არც არავისთვის იჯარა გვიძლევიაო.

⁂ ახალ-სენაკი: აქაურის მემამულეების თ. მხეიძეების თაოსნობით ამა ივნისის 27 და 28 მარულა (დოლი) იქნება ახალ-სენაკში გამართული. 27 გამოცდა იქნება ცხენებისა, ხოლო 28-კი ნამდვილი დოლი. 29 ივნისს-კი ბურთაობა გაიმართება. დოლისათვის შემდეგი საჩუქრებია გადადებული: პირველი ცხენი მიიღებს 50 მან., მეორე—25 მან. და მესამე—15 მან. როგორც ხმა დადის, სამეგრელოს ზოგიერთ ადგილას თვეზე მეტია, რაც ცხენებს ამზადებენ ამ დღისთვის.

⁂ ქუთაისი. ამ დღეებში ბათუმიდგან ჩამოიყვანეს აქ ყვირილის ხაზინადარი ნ. ჟორჟოლიანი, რომელმაც ხაზინის ყვირილის განყოფილებიდგან 71,000 მან. მოიტაცა და გაიქცა. ჟორჟოლიანი შუახნის კაცია, ჰყავს ცოლი და მცირე წლოვანი ქალი, რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველ-გვარ ცხოვრების სახსარს. ამბობენ, რომ ქ-ნმა ჟორჟოლიანისამ, სასამართლოს ბოქაულის მიერ ჟორჟოლიანის ქონების აღწერის დროს, ვერც კი განაცხადა თავისი უფლება იმ ნივთებზე, რომლებიც მზითევში მოჰყვა, ისეთ ნაირად იყო შეწუხებული მოულოდნელის უბედურებისაგანაო. დარწმუნებით ამბობენ აგრეთვე იმას, რომ ჟორჟოლიანმა ერთს ფოთელს მეგობარს 40,000 მან. გადასცაო.

## ქალაქის საბჭო

11 ივნისი

თან-და-თან ტფილისის საბჭოს კრებები უფრო და უფრო საინტერესო იყოს. შეიძლება ეს სიცხის ბრალიც ხდება. მოგეხსენებათ, ზაფხულობით ტფილისში ისეთი საძაგელი სიცხეები იცის, რომ მკვდარსაც-კი გააბრაზებს და აალაპარაკებს, არამც თუ ჩვენის პატივცემულ საბჭოს ხმოსნებს, რომელთაც კარგა ხანია დრო დაუდგათ ტფილისიდგან სააგარაკოდ გასეირნებისა, მაგრამ სხვა და-სხვა მიზეზისა გამო იძულებულნი არიან ჯერ-ჯერობით ტფილისში დარჩნენ. აი, სწორედ ამ სიცხით გაბრაზებული ხმოსნები ჯავრს საბჭოში ერთმანეთზედ ჰყრილობენ და მთელ საღამოებს კინკლაობა-ჩხუბში ატარებენ. ასეთია სწორედ საბჭოს უკანასკნელი კრებები. როგორც ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა სთქვა, საბჭოში „მშვენიერი წარმოდგენები იმართება" და, კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, ტფილისის საზოგადოებას საკმაოდ აქვს განვითარებული ესტეტიური გრძნობა და კარგისა და ავის დაფასება იცის: თითქმის ყოველ კრებაზედ საბჭოს ქანდარა ხალხით არის სავსე, გულდასმით ისმენს ყოველსავე და 12 ან $11\frac{1}{2}$ საათზედ დიდად ნასიამოვნები ბრუნდება შინ. განსაკუთრებით კარგად ჩაიარა 11 ივნისის საღამომ. ეს-კია, რომ პირველს ორს მოქმედებას ცოტა უფერულობა ეტყობოდა, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს საქმე ჩინებულად წავიდა.

უპირველეს ყოვლისა საბჭომ მოისმინა გამგეობის აზრი აწ განსვენებულის ნიკოლოოზ ზუბალაშვილის ანდერძის შესახებ. როგორც ვუწყით, ზუბალაშვილმა კარგა ბლომა ფული უანდერძა ქალაქს. გამგეობამ დაადგინა მიიღოს ეს ფული და პატივი სცეს განსვენებულის გვამს. გამგეობის დადგენილების დაწვრილებითი ამბავი ამას წინად „ივერია"-ში იყო დაბეჭდილი. ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის წინადადება. ამას გარდა საბჭომ აარჩია ვ. ი. ბებუთოვი ქალაქის მხრივ ანდერძის აღმასრულებლად.

შემდეგ გამგეობის წევრმა აუწყა საბჭოს, რომ როგორც რუსეთიდგან მოტანილის, აგრეთვე ადგილობრივის ფქვილის ფასმა ძალიან დაიწია, ამიტომ გამგეობამ დაადგინა დაუკლოს პურის ნიხრს პირველის ხარისხისას 1 კაპ., ხოლო მეორე და მესამე ხარისხისას—$\frac{1}{2}$ კაპ. ჯვარის მამის ლავაშის ნიხრი დააწესა 1 ხარისხის—$6\frac{1}{2}$ კაპ. მეორე ხარ.—$3\frac{1}{2}$ კაპ.

საბჭომ ეს წინადადებაც შეიწყნარა. ამასთან მიანდო გამგეობას, რომ მან ზაფხულში, თუ საჭიროდ დაინახა, პურის ნიხრი შესცვალოს, იმ პირობით კი, რომ მხოლოდ დაკლება შეუძლიან, მომატება არა.

ხმ. შახ-აზიზოვის წინადადებით საბჭო შეუდგა იმ აღმასრულებელ კომისიის ერთის წევრის არჩევანს, რომელსაც ქალაქის ხელ-მეორედ დაფასება აქვს მინდობილი. (ამ კომისიის წევრთ ჯამაგირი ეძლევათ). კანდიდატად დასახელებულ იქმნა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

**თავმჯდომარე ქალ. მოურავი ვვანგულოვი.** მე მივიღე წერილი ჩვენის საბჭოს ხმოსანის იაკიმოვისაგან, რომელიც სარატოვში სცხოვრობს. იაკიმოვი მატყობინებს, რომ მინდა აღმასრულებელ კომისიის წევრად ვიქნა არჩეული, ამიტომ გთხოვთ კენჭი მიყაროთო.

საბჭომ ყუთი დაუდგა ხმ. იაკიმოვს და თავ. ჩერქეზიშვილსა. პირველს ამოუვიდა 21 თეთრი და 30 შავი, ხოლო მეორეს-47 თეთრი და 4 შავი. ამ რიგად არჩეულ იქმნა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

---

ეკონომისტები ამბობენ, რომ ინგლისს 187 დღეს შეუძლიან მარტო თავის თვისისავე ნაწარმოებით გატანა, იტალიას 289 დღეს და სხვა სახელმწიფოებიც ამავე დღეში არიან, რუსეთის გარდაო. სჩანს განცალკევება ევროპას მხოლოდ სიმშილს უქადის და უნდა თუ არა, დამოჟნებს ბოლო უნდა მოუღოს. მაგრამ რითი უნდა იყიდოს შემოტანილი პური, როდესაც იმის ნაწარმოებს გარედ გასავალი არ ექნება?

რა დაემართება ასოც-და-ათ მილიარდით დავალიანებულსა და ათას გვარის გარდასახადის მტვირთველს ძველს ევროპას?

დაძაბუნება და სხეულის დაუძლურება, რომლითაც თავდებოდა ხოლმე წინანდელ განათლებული ქვეყნების ბედი. შესაძლოა ამ დროს ომმა უშველოს ევროპას, რომელიც იმდენად დაამცირებს ევროპის მცხოვრებთა რიცხვს, რომ მაშინ ქვეყანას ადვილად შეეძლება მისი გამოკვება თავისისავე ნიადაგით. აი მაშინ-კი შესაძლოა მიხვდნენ ჩვენი ჯიუტი ეკონომისტები, რომ მცხოვრებთა რიცხვის გამრავლება ქვეყნისათვის ძლიერ გამოსადეგი არ არის და რომ თხლად დასახლებული ქვეყნები უკეთესს მდგომარეობაშია ხშირად დასახლებულებთან შედარებით.

რა საკვირველია, ყველა სახელმწიფო ევროპისა ამ განსაცდელს მდგომარეობაში არ ჩავარდება; მაგალითად, არის ქვეყანა, როგორც რუსეთი, რომელსაც ამ შემთხვევაში დიდი მერმისი მოელის. რუსეთს არამცთუ თავის გასაკვები პური და სარჩო მოჰყავს, არამედ, მისის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან აზიის ისეთნი ერნი, რომელნიც ევროპასთან მეტოქეობას სულაც არ შეიმჩნევენ. გარდა ამისა, რუსეთი დიდ სარგებლობას ჰნახავს ევროპასა და აზიის შორის ნაწარმოების გადატანის დროს. ციმბირის რკინის გზა, რომელიც ევროპას ჩინეთთან აერთებს, რასაკვირველია, მოსალოდნელ ეკონომიურ კრიზისს დააჩქარებს.

შანხაიდგან ევროპაში სავაჭროს გადატანას, რომელსაც ეხლა 45 დღე უნდება, ციმბირის რკინის გზით—18 დღეზედ მეტი არ დასჭირდება. აი, რუსეთი როდის გახდება მბრძანებელი ევროპის ბედისა! მხოლოდ თუ რკინის გზა შიგ ჩინეთშიაც შევიდა, სადაც, შესაძლოა, ამ დროისათვის შავი-ქვის მადნები გაიხსნას, მაშინ ხომ მთელის დედამიწის ზურგზედ მხოლოდ სამი დიდი სახელმწიფო-ღა დარჩება: რუსეთი, შეერთებული შტატები და ჩინეთი.

ამ გვარად, რუსეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელიც ისარგებლებს ამ მოსალოდნელის საეკონომიო ბრძოლით; თითქმის ყოველივე მოსაზრება რუსეთის სასარგებლოდ ჰლაღადებს.

როდესაც ჩვენი ძველი ევროპა საეკონომიო და სოციალურ ბრძოლის მოედნად გახდება, მაშინ იგი გაჰქრება თვისის განათლების ნანგრევებში და იმისს ადგილას აღორძინდება სხვა ქვეყნები ახალის განათლებით, ხოლო მის მცხოვრებთა რიცხვის წყაროდ შეიქმნება გაუშრეტელი სლავიანთა მოდგმა, რომელსაც ბედმა ის ხვედრი არგუნა, რაც ველურებს რომის იმპერიის დაცემის შემდეგ.

მერმისი რუსეთისაა იმისთვის, რომ იგი წარმოადგენს თითქმის ასოც-და-ექვს მილიონ პირველ დროინდელ მცხოვრებლებს, ჯერ კულტურისაგან გაურყვნელ-გაუნებივრებულს, რომელსაც ჰმეთაურობს პატარა გუნდი განათლებულთა.

მერმისი რუსეთისაა იმისთვის, რომ იგი შესდგება მთელს ევროპაში იმ ერთად-ერთ ერისაგან, რომელიც მზად არის თავი დასდოს სარწმუნოებრივ იდეალების სახელისათვის, ხოლო ვინ არ იცის მსოფლიო ისტორიიდგან, თუ რა შეუძლიან ჰქმნას ამისთანა ერმა?

მერმისი ეკუთვნის რუსეთს იმისთვის, რომ იმის მომხრედ სდგას მთელი 500 მილიონი აზიის ხალხისა, რომელიც ასე საკვირვლად მრავლდება და უცდის დროს გზა გაიკვლიოს საითმე და გადაჰლეკოს თავისზედ სუსტი მხარე.

მომავალი დაინახავს უსათუოდ ისეთ ერთა ინტერესების შეხლასა და სარწმუნოებრივს ბრძოლას, რომლის მსგავსიც ჯერ ისტორიაში არა ყოფილა, ევროპის გონებითს უპირატესობას ამ ბრძოლაში უკიდურესი ადგილი არ ეჭირება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გონებითი უპირატესობა მხოლოდ რჩეულთა გუნდის კუთვნილებას შეადგენს, ხოლო უმრავლესობა, მუშაობის მხრივ, ჩინელსაც ვერ შეედრება. ეს ეკონომიური ბრძოლა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის, რომ მარტო საზოგადოების განვითარებულ წრესთან ხდებოდეს, მაშინ ხომ დასკვნა ადვილია, მაგრამ ბრძოლა ხომ უმეტეს ნაწილად საშუალო და დაბალ წოდებათა შორის ხდება, რომელნიც კულტურით ერთნი და იგივენი არიან, მხოლოდ საჭიროება მოთხოვნილების მხრივ-კი სხვა-და-სხვაა. აქ გამარჯვება კი უსათუოდ იმას დარჩება, რომელიც მცირეთი კმაყოფილდება.

იათეოზი

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა უმთავრეს საგნის, უსახელო საზოგადოებისა და ბ-ნ ყაზბეგის წინადადების განხილვას ცხენის რკინის გზის წარმოების შესახებ.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ბ-ნმა ყაზბეგმა გვთხოვა უსახელო საზოგადოების და იმის წინადადების განხილვას მომავალის კვირის გასულს შეუდგეთ, რადგანაც „La Compagnie de traction d'Electricite“-ს გამგე-დირექტორი გუშინ ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდგან და თვით მოელაპარაკება გამგეობას ამ საგნის შესახებაო.

გამგეობამ, განიხილა რა ეს წინადადება, დაადგინა დაწვრილებით წინადადებების განხილვა შემდეგის კვირისთვის გადასდოს, ხოლო ეხლა ისეთის საგნების განხილვას შეუდგეს ამ საქმეში, რომელთაც საზოგადო ხასიათი აქვთო. ამ დადგენილებას არ დასთანხმებია ქალაქის მოურავი და თავისი აზრი შეუტანია ოქმში. მოურავი ამბობს, რომ შესაშენეველი არის ასე მალ-მალე აზრთა ცვლა და დღეს ერთის თქმა ხვალ მეორისა. საბჭომ დაადგინა განიხილოს მხოლოდ უსახელო საზოგადოების წინადადება და იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოურიგდა მას, პირდაპირ რკინის გზის გამოსყიდვის საქმეს შეუდგესო.

ხმ. ტიგრანოვი. მე თანახმა ვარ, რომ ამ საგნის განხილვა იმ დრომდის გადაიდოს, ვიდრე ახალის საზოგადოების გამგე-დირექტორი ჩამოვა. აქამდის უსახელო საზოგადოებას მეტოქე არა ჰყავდა და ისიც ფეხს გვაჭერდა, ეხლა რაკი მეტოქეები გამოუჩნდა, სულ სხვანაირად დაგვიწყებს ლაპარაკს.

გამ. წევ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ქალაქის მოურავი თავისს კერძო აზრს ამ სიტყვებით იწყებს: „შესაშენეველი არ არის მალ-მალე აზრთა ცვლაო.“ ეს სიტყვები სრულიად გამგეობას შეეხება. მე არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რამდენად უადგილოა ასეთი სიტყვები, რამდენად არ შეჰშვენის ქალაქის მოურავს თავისს ამხანაგებს ასე მოექცეს და რამდენად შეუფერებელია იგი ისეთის დაწესებულებისათვის, როგორიც არის ქალაქის თვითმმართველობა. ვიტყვი მხოლოდ, რომ გამგეობას თავისი აზრი სრულიადაც არ გამოუცვლია. წინად გამგეობამ უარ-ჰყო ყაზბეგის წინადადება, ეხლა-კი თანახმაა მოისმინოს იგი. ამისი მიზეზი-კი ის არის, რომ წინად ყაზბეგის წინადადება სავსებით არ იყო აღნიშნული, ეხლა-კი საზოგადოების წარმომადგენელი ჩამოვა, რომელიც დაწვრილებით მოგველაპარაკება. ჩემის აზრით, მეტად უცნაური იქნება, რომ ამ საზოგადოების წინადადება არ მოვისმინოთ.

ხმ. პ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკი. მეც მეტად უადგილოდ მიმაჩნია ის წინადადება, რომელიც ქალაქის მოურავმა თავის კერძო აზრში შეიტანა. ლაპარაკის დროს შეიძლება კაცმა მეტი სიტყვა სთქვას, მაგრამ განცხადებაში აგი შეუფერებლად მიმაჩნია.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ქალაქის მოურავი ჰბრძანებს, რომ ყაზბეგს უარი უნდა შევუთვალოთო. მე მგონია, რომ იგი შემცდარია. საბჭომ პირ-იქით წარსულს კრებაზედ ნათლად გამოსთქვა სურვილი ამ საზოგადოებასთან მოლაპარაკებისა: ამიტომ ჩემის აზრით, მოურავი პატივით არ ექცევა საბჭოს დადგენილებას. მე თანახმა ვარ გამგეობისა, რომ ეხლა მხოლოდ მთავარი საგნები უნდა განვიხილოთ. დასასრულ, მეტად უხერხულად მიმაჩნია ის, რომ გამგეობაში დიდი უთანხმოება ჰსუფევს თურმე. ეს გარემოება-კი საქმეების კეთილად მსვლელობას შეაფერხებს.

ხმ. მიტკევიჩი. ხმ. ბაბოვმა ჭეშმარიტადა ჰბრძანა, რომ საბჭოს დადგენილებას პატივით უნდა მივექცეთ. მაგრამ, საუბედუროდ, დღეს სულ წინააღმდეგსა ვხედავ. საბჭომ დაადგინა განიხილოს უსახელო საზოგადოებისა და ყაზბეგის წინადადება, ეხლა კი ტყუილად დროსა ვკარგავთ და სულ სხვა საგნების შესახებ ვლაპარაკობთ.

ხმ. იოანნესიანი. ჯერ-ჯერობით უნდა გადავდოთ ამ საქმის განხილვა. საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ გამგეობა ძალიან სჩქარობს. ერთს ქარხანას შეუკვეთა კიდეც მასალა, წინდაწინვე ფული მისცა.

თავმჯდომარე. საბჭომ დაგვავალა...

ხმ. იოანნესიანი. რა უყოთ, რომ დაგვავალათ. ვისაც თქვენ შეუკვეთეთ, ის საბჭოს ხმოსანია და იმას არ უნდა დაეჟინა, რომ თუ ეხლავე არ შემიკვეთეთ, ვერ მოვასწრებო.

ხმ. ხუდადოვი. გამგეობაში რომ ერთობა იყოს, აქამდის ათჯერ გადავსწყვეტდით ამ საგანს. მაგრამ საუბედუროდ, იქ ერთი ერთს გაიძახის, მეორე—მეორეს და მთელი გამგეობა-კი საბჭოს დადგენილებას ყურადღებას არ აქცევს.

თავმჯდომარე, ქალაქის მოურავი. აქ ბევრი რამა სთქვეს ქალაქის მოურავის, ე. ი. ჩემ წინააღმდეგ. მე ჩემდა გასამართლებლად საუბარს არ გავაბამ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვალდებულად მიმაჩნდა ის მეთქვა, რაც კერძო აზრში ვსთქვი, და რომ მე მართალი ვარ, ეს შემდეგ დამტკიცდება.

გამ. წევრი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. სულ უბრალო საქმე იყო. მოურავმა სთქვა, რომ ეხლავე კომისია უნდა ავირჩიოთ და რკინის გზის გამოსყიდვის საქმეს შევუდგეთო, გამგეობა-კი იმ აზრისა იყო, რომ ერთი კვირა მოვიცადოთ, ვიდრე ყაზბეგის მიერ დაბარებული გამგე-დირექტორი ჩამოვიდოდეს.

ხმ. იოანნესიანი. მაშ ამ სიაში რად არის შეტანილი ეგ საქმე.

არღუთინსკი-დოლგ. ეგ მოურავის საქმეა, ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენ დაუკითხავად შეაქვს სიაში საქმეები.

ხმ. თაიროვი. საბჭოს წინანდელი დადგენილება უნდა გავაუქმოთ და ახალი დავადგინოთ.

თავმჯდომარე. ეხლა ჩვენ საბჭოს წინანდელი დადგენილება უნდა გავაუქმოთ და ახალს...

ხმ. ბაბოვი. მე ძალიან მაკვირვებს გამგეობის საქციელი. აქამდის გვატყუა: ის არ შეასრულა, რაც დაავალა საბჭომ. (აღელვებული ხმამაღლა) სექტემბრიდგან დაწყებული დღემდის საქმე ისე წაიყვანა, რომ უთავბოლო ლაპარაკის მეტი არაფერი გაგვიკეთებია. (ყვირილით) მე გამგეობის საქციელი დანაშაულად მიმაჩნია...

თავმჯდომარე. გთხოვთ მაგ კილოთი ნუ ლაპარაკობთ. პირველად გაფრთხილებთ და მეორედ აღარ...

ხმ. ბაბოვი. ერთხელ-კი არა, გინდა ათჯერ გამაფრთხილეთ, კიდევ გავიმეორებ, რომ დანაშაულია გამგეობის მხრით ეს... მეტს აღარაფერს ვიტყვი. და არც საჭიროდ მიმაჩნია ასეთს გარემოებაში ვილაპარაკო. (ბაბოვი წამოდგება, ბუტბუტით დარბაზს თავს დაანებებს და გავა).

ხმ. ხუდადოვი. იმათ, ვინც ამბობენ, რომ წინანდელი დადგენილება უნდა გავაუქმოთო, საქმის ვითარება არ ესმით...

ხმ. თაიროვი. (ხმა მაღლა, გაჯავრებული) მე გთხოვთ, თქვენი სიტყვები უკუ-სთქვით. დროა ერთმანეთის ლანძღვას თავი გავანებოთ!

ხმ. იოანნესიანი. (ხმა მაღლა) რა არის ღმერთმანი, რა უბედურებაა!

თავმჯდომარე. თქვენი სიტყვა უკუ-სთქვით.

ხმ. ხუდადოვი. მოითმინეთ, რად უნდა უკუ-ვსთქვა, რა არის ისეთი!

თავმჯდომარე. გაფრთხილებთ ერთხელ...

ხმ. ხუდადოვი. გამაფრთხილეთ, რამდენჯერაც გნებავთ. მე მაინც ვიტყვი, რომ იმათ არ ესმით-მეთქი... (ყაყანი ატყდება, ყველანი ლაპარაკს დაიწყებენ).

თავმჯდომარე. მეორედ გაფრთხილებთ...

ხმ. ხუდადოვი. ძალიან დაეჩვიეთ მაგ გაფრთხილებას, უმაგისოდაც აღარ ვილაპარაკებ.

ხმ. მ. გ. ალიხანოვი. თუ ესე უთავ-ბოლო ლაპარაკი იქნება, ისა სჯობია, ავდგე და შინ წავიდე... (უფრო საშინელი ლაპარაკი ასტყდება, არაფერი არ ისმის).

თავმჯდომარე. კრება შემიჩერებია... ასეთის „ეფექტით“ დასრულდა ეს კრება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ზემო ნიქოზი**, 7 ივნისი. მოგეხსენებათ, ზემო-ნიქოზში გახლავთ ძველის-ძველი მოზრდილი ტაძარი წმიდისა რაჟდენისა და ამ რამდენისამე წლის წინად შეაკეთეს და კარგა ბლომა ფულიც დაიხარჯა, მაგრამ დღესაც უშნოა. არ ვიცით ვისი რჩევით, ეკკლესიის მშვენიერი ნათალი ქვა აუგრიათ და დაუხურავთ კრამიტი, ჩასულა წვეთი, ჩამოცრცნილა მთელი კედლები, სადებავი, ასე რომ ხელ-ახლად მოუნდება ეკკლესიას შეკეთება, თუ არ გვინდა დავკარგოთ ძველი ნაშთი.

ზემო-ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო და ქვემო თვითები ერთმანეთზედ დასახლოვებული სოფლებია და, თუ არა გვდებით, სამასი თუ არა, ორას ორმოც-და-ათი კომლი მაინც იქნება. სხვა სოფლებთან შედარებით, თუ არ შეძლებულნი სოფელნი, სხვაზედ ნაკლებნი არ არიან, მეტადრე ზემო-ნიქოზში ხომ შეძლებული ხალხია და დღევანდლამდის არ არის არც სამრევლო და არც სხვა სკოლა. რას აკეთებენ აქაური მღვდლები, რომ არა სცდილობენ სამრევლო სკოლა მაინც დააარსონ. რატომ არ ჩააგონებენ ბნელ-უვიცს ხალხს სწავლა-ცოდნის მნიშვნელობას?!. ან რატომ არა სცდილობენ ადგილობრივნი მცხოვრებელნი თავად-აზნაურნი, რომელნიც ზემო-დასახელებულს სოფლებში არა მცირეოდენი სცხოვრობენ. მაგრამ რა?! უმრავლესობა იმის შემძლებელთა გლეხ-კაცის ცოდნას მავნებლად ჰხახავს და ახალგაზდანი ხმალკაპარჭებით, ერთი ზარბაზნები-და აკლიათ, თორემ ყველა იარაღით იმოსებიან, თამაშობენ, გადაჰკრავენ ორს ჭიქას, დევ-გმირობენ და საცემბიროდ იხდიან თავს!.. აქ ქალებს ხსენება ხომ არც კი შეიძლება, რადგან იმათი ხმა მიყრუებულია. ჯერ დიდი ხანი გასტანს, ვიდრე გამოიღვიძებენ საუკუნოს ძილისაგან ან აღარ ეტრფოდნენ კოხტა ჩაცმა-დახურვას, პრანჭვა გრეხას, ჭორებს, ლოტოს და სხვა ამისთანა ხელის-ხელ საგოგმანებელს საქციელს!..

დრო კია, ღმერთმანი, ავახილოთ თვალები, გვეყო ამდონი უძლურობა, უსაქმურობა, გავერიოთ ხალხში ვიცნათ ჩვენი თავები, რომ ჩვენც ადამიანები ვართ. სირცხვილია, სხვა არა იყოს-რა, ამდენი ბეჩაობა!.. დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ გაგიგონეთ, ვითომ ნიქოზში აპირებენ სკოლის დაარსებასო და ღმერთმა ჰქმნას, ჩვენც მისი მონატრულები გახლავართ.

ჩხირკედელა

## რუსეთი

რადგან ამ ბოლო დროს საერო განათლების სამინისტროს აუარებელი თხოვნა მისდის არამც თუ უმაღლესს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთაგან, არამედ დაბალ სასწავლებლების მოსწავლეთაგანაც და ამ თხოვნების განხილვა-კი კანონით მთხოვნელთა პირდაპირის სამოსწავლო უფროსის მოვალეობაა, ამიტომ მთხოვნელთა მიწერ-მოწერაში დროს დაკარგვის თავიდგან ასაცილებლად საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ბოგოლეპოვმა წინადადება მისცა ყველა სამოსწავლო ოლქის უფროსს გამოუცხადოს თავისს ქვემდებარე სასწავლებლების მოსწავლეთ და მშობლებთ, რომ ყოველგვარ თხოვნებით უნდა მიჰმართონ ხოლმე ადგილობრივ უფროსს, რომელიც, თუ საჭირო იქნება, თხოვნას უმაღლესს დაწესებულებას წარუგზავნის. ადგილობრივ სასწავლებლის უფროსის ხელითვე უნდა გაჰგზავნონ სამოსწავლო ოლქის უფროსთან მოსწავლეთ ის თხოვნებიც, რომლითაც უკმაყოფილებას აცხადებენ უფროსის გარდაწყვეტილებაზედ და უმაღლესს მთავრობასთან სჩივიან. ამ განკარგულების ძალით ყოველივე თხოვნა პირდაპირ საერო განათლების სამინისტროს ცენტრალ სამმართველოში გაგზავნილი უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ადმირალმა სამსონმა, როგორც გუშინდელი დეპეშა იუწყება, აცნობა ამერიკის მთავრობას, რომ კი-ვესტიდგან გამოგზავნილი ჯარი უკვე მოვიდა სანტ იაგოში და ამ ორ-სამ დღეში ჯარის-კაცებს გადასხსამთ კიდეც ნაპირზედაო. გაზეთების სიტყვით, თუ ეს ამბავი მართალია, მაშინ მალე დეპეშა იმ ამბავსაც მოიტანს, რომ ამერიკელებმა ესპანელები დაამარცხეს და სანტ-იაგო აიღესო. რამდენად გამართლდება ეს წინასწარმეტყველება, მარტო ღმერთმა უწყის, მაგრამ ეს კია, რომ არც ესპანელნი არიან პირდაღებულნი და სანტ-იაგოში მათაც ბლომა ჯარი ჰყავთ. როგორც უკანასკნელად მოსულის ცნობებიდგან სჩანს, სანტ-იაგოს გარეშემო 26,000 ჯარის კაცი სდგას. მათ შორის 10,000 კაცი, რომელსაც გენერალი ლინარესი უფროსობს, ქალაქ სანტ-იაგოს იცავს, 8,000 კაცი, გენერალის ლიუკის უფროსობით გუანტანამოდგან სანტ-იაგოში მიმავალ გზაზედ არის გამწკრივებული. დანარჩენი ჯარი გენერალის კამორის უფროსობით, სანტ-იაგოდგან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ სდგას, რკინის გზის მახლობლად.

— გაზეთი „Свѣтъ“ სწერს: „ესპანიასა და შეერთებულ შტატებს ბრძოლა როგორც ზღვაზედ, ისე ხმელეთზედ უხდება. ჩვენის აზრით ამ სახელმწიფოთა შორის საბოლოოდ ის გაიმარჯვებს, რომლის ფლოტიც უფრო ძლიერი და მარდი აღმოჩნდება. დღემდის ამერიკას ზღვაზედ თავისი საქმე ძალიან კარგად მიჰყავდა და თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა. ესპანიის ფლოტს-კი დამარცხების მეტი არაფერი უნახავს. ამ ჟამად ესპანიის ერთი საუკეთესო ესკადრა სანტ იაგოშია მომწყვდეული. ძალიანაც რომ მოიწადინოს, ამ ესკადრას არ შეუძლიან ამერიკელების წინააღმდეგ იმოქმედოს. ამ რიგად ამერიკელები სრული ბატონები შეიქმნენ ატლანტიის ზღვისა, ესპანიის ფლოტის შიში მათ სრულიად აღარა აქვთ. საქმის ასეთის ვითარების წყალობით, რასაკვირველია, გამარჯვება ამერიკელებს უფრო უდიმის, ვიდრე ესპანელებს, და მართლაც რაკი ჯარს გადასხსამენ, ეს გამარჯვება დიდხანს აღარ დაიგვიანებს“.

## დამაკვირდი

არა რაჲ არს ესოდენ შეუსწორებელ აღმძრველ უოფად სულისა გულისთქუმად სათნოებისა, ვითარ ცხოვრებაჲ კაცთა სათნოთა.

კვირილე სკვითიეპოლელი

* * *

ძალისაებრ გულს-მოდგინებაჲ საქებელ არს.

ილარიონ ქართველი

* * *

უგუნურო, მსგავს ხარ შენ თაგვისა მთხუნველისა, რომელსა არა ასხიან თვალნი და საყოფელი მისი არს მიწას ქვეშე და არ უწყიან ბრწყინვალებაჲ მზისა.

ვახტანგ გორგასალ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში მეტად საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი ინგლისის პირველ მინისტრის ლორდ სოლსბერის შესახებ. სწავლის დამთავრების უმალვე სოლსბერი წავიდა ავსტრალიაში, იქ ათას გვარი ვაივიგლახი და გაჭირვება გამოიარა, კარავში ეძინა ხოლმე და სხვებთან ერთად დაეძებდა ოქროს მადნებს, მაგრამ ვერაფერი იპოვნა. ინგლისში რომ დაბრუნდა სამსახური დაიწყო და პირველად ექვსი თუ შვიდი ათასი ფრანკი ჰქონდა წელიწადში ჯამაგარი, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რომ დედოფალის ელისაბედის პირველ მინისტრის ბერლეის შთამომავალს ეს ფული არ ეყოფოდა. ამასთანავე სოლსბერიმ ღარიბი ქალი შეირთო და იძულებულ იყო ჟურნალ-გაზეთებში დაეწყო წერა, რომ რიგიანად მოეწყო თავისი ცხოვრება.

„მე კარგად გამომიცდიაო,—სთქვა ერთხელ საზოგადოებაში სოლსბერიმ,—ჟურნალისტის ჯაფა და მისი სულის კვეთება, ტანჯვა და აღელვება“.

იქნება სწორედ ეს გამუდმებული ტანჯვა ფულის შოვნის გულისათვის იყოს იმის მიზეზი, რომ სოლსბერი მეტად დინჯი და

გულ-დახურული კაცია. თუმცა სოლსბერის მჭევრმეტყველს კაცს ეძახიან, მაგრამ თან დასძენენ, მისი მჭევრმეტყველება ბოროტი და გესლიანი არისო. არც ერთხელ სოლსბერის ლაპარაკის დროს პარლამენტში არ წამოსცდენია სახუმარო ან საოხუნჯო სიტყვა, და თუ სოლსბერის ლაპარაკზე გაუცინია ვისმეს, ეს სიცილი გამოუწვევია იმას, რომ მან ლაპარაკში ძლიერ იცის ხოლმე საქმის გაზვიადება და ყველაფერის გადაჭარბება.

ერთხელ სოლსბერიმა სთქვა, რომ ამა და ამ საქმეში გლადსტონი ისე მოიქცა, როგორც უბრალო მწერალი კანცელარიისა და არა სახელმწიფო მოღვაწეო. ხაზინის კონცლერმა სთხოვა, ცოტა ფრთხილად ილაპარაკეთო, მაგრამ სოლსბერიმ ბოდიშის მოხდის მაგიერ განაგრძო:

— ბოდიშს ვიხდი, რომ კანცელარიის მწერალი ურიგოდ მოვიხსენიეო.

ასეთის გესლიანის ლაპარაკის გამო სოლსბერის მეტ სახელად უწოდეს „საშინელი მარკიზი“. ეხლა სოლსბერიმ ცოტა არ იყოს ამ გვარ კილოს ლაპარაკისას თავი დაანება, თუმცა ხან და ხან კიდევ მოაგონდება ხოლმე ძველი დრო: მაგალითად, როცა სიტყვა მოიტანს—ირლანდიელებს „გოტენტოტებს“ ეძახის. ერთხელ ინდოსტანის ერთის უფრო განათლებულის ტომის წარმომადგენელს „ზანგების რეპუტატი“ დაარქვა. საზოგადოდ-კი შეიძლება ითქვას, რომ სოლსბერი დაწყნარდა ბოლოს დროს და ამის მიზეზი ის არის, რომ სოლსბერის მეცნიერება შეუყვარდა.

არ უყვარს სოლსბერის საზოგადოებაში ყოფნა და სხვა და სხვა გართობა, როგორც დიზრაელის. არიან ისეთი მინისტრები, რომლებისათვის მას არც ერთხელ ხმაც არ გაუცია. არ უყვარს სოლსბერის ფეხით სიარული და გიმნასტიკა, ვითარცა ჩემბერლენს, არა ჰყავს დოღისათვის ცხენები, ვითარცა როზბერის, არა სჭრის შეშას ცულით, ვითარცა სჭრიდა სიცოცხლის დროს გლადსტონი. არ უყვარს არ ცხენით და არც ველოსიპედით სიარული. ბევრი იმასაც ამბობს, რომ სოლსბერის არ უყვარს ლიტერატურა და არც თუ ბევრი რამ გაეგება ლიტერატურისაო. უდიდესი სიამოვნება სოლსბერისა—თავისს სამეცნიერო ლაბორატორიაში ყოფნაა კარ-ჩაკეტილში.

სოლსბერის ძლიერ უყვარს ელექტრონის მანქანები. ვიდრე ამერიკელები მდინარე ნიაგარას ელექტრონის მანქანებისათვის გამოიყენებდნენ, სოლსბერიმ ამავე მანქანებისათვის უკვე გამოიყენა თავის მამულის პატარა მდინარე და თავისის ხელით გამართა სიმენსისა და ბრუმსის სისტემის მანქანები და თავისი სახლი გაანათა ელექტრონის ორი ათასი პატარა ლამპრით. სოლსბერს ძლიერ უყვარს ელექტრონის მანქანები და ვითარცა სახემწიფოს მოღვაწეს ჰსურს გაიგოს, რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ელექტრონის ძალას მეოცე საუკუნის სახელმწიფო ცხოვრებაში. ვითარცა პოლიტიკოსს, სოლსბერის არცა სწამს გაბატონება დემოკრატიისა, ვითარცა ფილოსოფოსს, არა სწამს, რომ მარტო აზრს, იდეას შეეძლოს შესცვალოს სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წეს-წყობილება.

სოლსბერის აზრით საზოგადო წეს-წყობილებასა სცვლის მეცნიერების გამარჯვება. ფეოდალიზა წეს-წყობილება დაღუპა თოფის წამალმაო, ამბობს იგი. წიგნის ბეჭდვამ გამოიწვია რეფორმაცია, ორთქლის მანქანებმა შეჰქმნეს და განაძლიერეს ეხლანდელი მრეწველობა. ელექტრონის ძალაო,—ამტკიცებს იგი,—ძირიანად შესცვლის მეოცე საუკუნის წეს-წყობილებასა და ამაოდ სცდილობს გამოიცნოს, როგორი იქმნება ეს ცვლილება. ამაში სოლსბერის, რა თქმა უნდა, არავითარი ბრალი არა აქვს. ან ვის შეუძლიან სთქვას, როგორ მოეწყობა ცხოვრება მეოცე საუკუნეში და რა ცვლილებას გამოიწვევს ძლიერი ძალა ელექტრონისა...

## მე გახლავარს

(„ივერია“ № 104 და 105).

(დასასრული)

რაც შეეხება თქვენს იერემიადას და დრტვინვას წყაროების უჩვენებლობაზედ, სცდებით: რუსული ლექსიკონების შესახებ გამოცხადებული მქონდა მე შარშანდელს ჩემს განცხადებაში, ხოლო, რაც შეხება ჩვენის ქვეყნის შესახებ ცნობების წყაროებსა, გადაფურცლეთ ჩემი ლექსიკონი და დარწმუნდებით, რომ სადაც-კი საჭირო იყო ეს, ყველგან დასახელებულია თხზულება ან ავტორი, მაგალითად: მარტო ერთი სიტყვის „ანბანის“ განმარტებაში დასახელებული მაქვს: „ქართლის ცხოვრება“, დ. ბაქრაძე, ბატონიშვილი თეიმურაზ, ილია ოქრომჭედლიშვილის—ვინ მოიგონა ქართული ანბანი (ივერ. 1881, № 10), ლენორმანი და სხვ. „არარატის“ აღწერაში დასახელებული მაქვს „ისტორიული ნარკვევი“ ა. ჭყონიასი; „ასპინძის“ აღწერაში დასახელებული მყვანან ბატონიშვილი ვახუშტი და მ. ჯანაშვილი; „ამბროსი ნეკრესელის“ ცხოვრების აღწერაში—დ. ჯანაშვილი და სხვ. ლექსიკონი ისეთი წიგნია, რომ ზოგი სიტყვა ორი-სამი სტრიქონით განიმარტება და რომ ყველას დავუწეროთ საიდამა გვაქვს ის ამოღებული, რას ეგვანება, ან ვისათვის რა საჭიროა?!

თქვენ აბუჩად იგდებთ ჩემს შრომასაც ჯავახეთის ნაშთთა დაწვრილებით აღწერის შესახებ, რომელზედაც ბ. ილ. ალხაზიშვილს თავის თხზულებაში „ბუნება და ცხოვრება“-ში (გვ. 69) ნათქვამი აქვს შემდეგი: „მადლობის ღირსია სამშობლოსათვის დაუღალავი მოღვაწე ბ-ნი ივანე როსტომაშვილი. ყველა ჩვენგანს ამდენად რომ შეგნებული ჰქონდეს თავისი ზნეობრივი წმიდა მოვალეობა სამშობლოსადმი, მაშინ რაღა გაუჭირდება ჩვენს მომავალს თაობას!“

ეს სიტყვები, როგორც სჩანს, თქვენ გესლიან ისრად ჩაგრჭობიათ გულში და გაიძახით: „დიდი მშრომელიაო! შრომაც არის და შრომაცაო: ერთი საცალო სიმინდი რომ დააბნიოთ და მერე თითო მარცვლობით აჰკრიფოთ,—მერე კვლავ დააბნიოთ და კვლავ აჰკრიფოთ, ესეც შრომა იქნება, შრომა და არა ღვაწლი საზოგადოებურის ხასიათისაო.“ აბა რა გელაპარაკოთ თქვენ! „რაც ვარ, მე ვარო“, გაისმის თქვენ-მიერ ყოველს დაწერილს სტრიქონში და თითრს შავისაგან როგორღა გაარჩევთ? რომ კვეხნად არ ჩამომართვათ, ჰკითხეთ ამ შრომის შესახებ ბ. მოსე ჯანაშვილს, რომელმაც ნახა იგი და თავისი მოწონების შთაბეჭდილება გამოაცხადა „ივერიაში“, აღარ მახსოვს რომელს ნომერში. მოიკითხეთ ამავე შრომის შესახებ აზრი კავკასიის სამასწავლებლო მზრუნველთან, შეიტყეთ როგორის დაუშურველობით ეს რამდენიმე წელიწადია ამზადებენ მას ალსაბეჭდათ (ას თუმნამდის უჯდებათ ამათ ამ შრომის მარტო ისტორიულის ნაწილის გამოცემა და მაინც უკან არ დგებიან) და თუ ყოველი ეს მართალი არიყოს, მაშინ გამკიცხეთ, მაშინ აიგდეთ იგი სამასხაროდ, მაშინ სთქვით, რომ ალხაზიშვილის სიტყვები კომპლიმენტია და არა უანგარო და მხოლოდ ალალ-მართალის გულიდამ ამონაკვნესი.

თქვენ მიკიჟინებთ, რომ ჩემს ლექსიკონში შეტანილი არ არის ისეთი სიტყვები, როგორიც არიან: Астрагалъ—ღვლერძა, Астра—ვარსკვლავა, Арженикъ—ჯორის ძუა, Антипка—ბალამწარა და სხვ. თუ ოდნავაც არის რამე შეგმატათ თვით თქვენ მაგ უმნიშვნელო სიტყვების ამოწერამ, ხომ, რასაკვირველია, გასაკიცხი ვარ მაგათი შეუტანლობისათვის ჩემს ლექსიკონში, და თუ არა, რას გვერჩით, ვისთვის და რისთვის უნდა შემეტანა იგი ჩემს ლექსიკონში!?. ჩემის ლექსიკონის მიზანია: 1) განმარტოს ენციკლოპედიურად ის სიტყვები, რომლენიც რითიმე გამოსადეგნი არიან ადამიანისთვის და 2) ახსნას ის უცხო სიტყვები, რომელთ გაგება ტექსტში აზრით, განუმარტებლად, ყოვლად შეუძლებელია, როგორც მაგ. Ажурный, Абсолютный, Агонія, Амбиція, Антипатія და სხვ. რაც შეეხება იმას, ვითომ „Акула“-სთვის ჩვენ დაგვედოს საკუთარ სახელად „დიდი თევზი“, მტკნარი ტყუილია; თუ არა გჯერათ, გადაშალეთ 58 გვერდი ჩემის ლექსიკონისა და საკუთარის თვალით დარწმუნდით, რომ „დიდი თევზი“ საკუთარ სახელად მე არსად არა მაქვს ნახმარი. მხოლოდ, რატომ არ ვუწოდეთ ზვიგენი, ამასაც აგიხსნით: ერისთავი, როგორც თქვენა ბრძანებთ, უწოდებს მას ზვიგენს; დ. ჩუბინაშვილი—ნათელ-თევზსს და კ. ყიფიანი—ხვიმენს. რომელს ერთს დავუჯეროთ? ამ სამს სიტყვაში, რომელია „აკულის“ აღმნიშვნელი? ჩემის აზრით, არც ერთი, რადგანაც „აკულა“ სულ სხვა თევზია და ზვიგენი, ნათელ თევზა და ხვიმენი ან სულ სხვა თევზებია, ან უცხო სიტყვებია.

ორიოდე სიტყვა თქვენ საყვარელ ავტორიტეტის შესახებაც. ჩემის ლექსიკონის შედგენა-გამოცემისათვის სრულიად საჭირო არ არის რაღაცა განსაკუთრებული ავტორიტეტი, რადგანაც, როგორც თვით თქვენა ბრძანებთ—„იგი თარგმნილია ბროკჰაუზიდგან და რომ ბ-ნ როსტომაშვილს თარგმნა რუსულიდგან შეუძლიანო, ამისი ეჭვი ჩვენ თავის დღეში არა გვქონიაო“. მაგრამ, რომ დარწმუნდეთ, თუ რა მდარე ღირსებისაა ეს თქვენ მიერ სათაყვანებელი ავტორიტეტი, გთხოვთ გაისარჯოთ და წაიკითხოთ მათ-მიერ შედგენილი ლექსიკონების ცნობები: Аббасъ-Туманъ (?) въ Кутаисск. губ. (?) близъ Ахалцыха (?). როგორ მოგწონთ? მეორე: Бахтріонахъ (?), село Ахалцыхскаго (?) уѣзда, Тифлис. губ. на лѣвомъ берегу рѣки Алазани. დასტკბით, ბატონო „მე გახლავარ“, თქვენ მიერ სათაყვანებელის ავტორიტეტების კალმის ნაწარმოებებით! იმედია კვლავაც ურჩევთ ჩვენს საზოგადოებას, უჩინარის, ვიღაც როსტომაშვილის ლექსიკონი რა სახსენებელია, რაც არის იმ ავტორიტეტების ლექსიკონებია და თქვენც ისინი შეიძინეთ, რა ვუყოთ რომ, როსტომაშვილის ლექსიკონი ღირს 12 მანეთი და გრანატასი ხუთი თუმანი, ხოლო ბროკჰაუზისა ოცი თუმანი და სხვ.

როცა თქვენ, კვეხნით არ ვამბობ, ჩემს ბუმბერაზულს შრომას „უნაყოფოს“ ეძახით, ალბათ ჰხედავთ ცხადს ნიშნებს ჩვენის მწიგნობრობის ისეთს წარმატებისას, რომ მის შორის ჩემი ორას გვერდიანი შრომა, „კვალისა არ იყოს, მხოლოდ ერთი უჩინარი წიგნაკია. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ, ვაი რომ ეგ მხოლოდ საკუთარის თავის მოტყუებაა და ჩვენი საწყალი მწიგნობრობა თქვენისთანა კრიტიკოსების წყალობით კუს ნაბიჯით ძლივს მიაჩანჩალებს ფეხებსა.

დამრჩენია ერთი: ვინუგეშო იმ საზოგადო მოვლენითა, რომ სხვა რომელი საზოგადო მუშაკი გადარჩენილა თქვენისთანების კიცხვა-გმობასა, რომ მე გადავრჩენილიყავ: ქვეყნისათვის თავდადებული მუშაკობა (ეს სიტყვაც ხომ სალანძღავი გახდა ამას იქით) წინათაც ბევრჯელ გათელილა ჩვენში და მემკვიდრეობით ახლაც ითელება. „მამაო! მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“

ივანე როსტომაშვილი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 ივნისი

**პარიჟი.** პეიტრალმა იკისრა კაბინეტის შედგენა.

**პრაგა.** სლავიანთა კრების წევრნი ქალაქ კოლინში წავიდნენ და იქიდგან ეტლებით ჩხთა უძველეს ქალაქს კუტნაგორში. ამით დასრულდა კრება. ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ კრებით. ხოლო ნემეცთა ჟურნალ-გაზეთები არიან გაბრაზებულნი. იმათ ეკონათ, რომ კრების დროს რუსებსა და პოლონელებს ჩხუბი მოუვათ. განსაკუთრებით ნემენცები რუსეთის მოღვაწეებს იხსენიებენ ცუდად. რუსეთის ჟურნალ-გაზეთები მიხვდებიან რა ხასიათისა ეს ცილის წამება.

**პარიჟი.** პესტრალი შინაგან საქმეთა მინისტრობას და კაბინეტში თავმჯდომარეობას იკისრებს. დანარჩენი სამინისტროები, უთუოდ, ასე იქმნება განაწილებული: ფრისინე—გარეშე საქმეთა მინისტრი, კავენიაკი—სამხედრო, დელომბარ—ფინანსთა, დიუპუი—საერო განათლებისა, დელკასსე—ზღვათა, სარიენ—სჯულის საქმეთა, ჟონნარი—ახალშენთა, ლეიგ—სამუშაოთა, ვიჟე—მიწად-მოქმედებისა.

**მადრიდი.** სანტ იაგოს გუბერნატორის დეპეშა იუწყება: „გუშინ ამერიკის სანტრასპორტო გემები ჯარით სმხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ, მაგრამ ესე, 20 სამხედრო გემი სანტ-იაგოშივე დარჩა. საფიქრებელია ამიტომ, ამერიკელებმა ჯარი გვანტანამასა და ბაიტიკვერის შუა გადასხან და იქ დამკვიდრდნენ“.

**კონსტანტინეპოლი.** ჩერნოგორიის საზღვარზედ ამჟამად სრული მშვიდობიანობაა. ალბანელნი თავიანთ სოფლებში ბრუნდებიან.

**ნიუ-იორკი.** უკვე შეუდგნენ შაფტერის ჯარის გადასხმას სანტ-იაგოდგან აღმოსავლეთით 17 მილის მანძილზედ. ჯარს იცავენ ესკადრისყუმბრები და 1,000 კუბანელი რომელთაც კასტილიო უფროსობს:

18 ივნის გარსიამ შეატყობინა სამპსონს, რომ გენერალი პანდო ამ ჟამად დიდის ჯარით სანტ-იაგოს მოსაშველებლად მოდისო.

## განცხადებანი

!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

**ბორნო-გლიცერინის საპონი**

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—17)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ **10 ივნისიდგან**, ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილ და ტფილისის გუბერნატორისაგან გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, ყოველ ქალაქის საყასბოდგან გამოსულ ხორცს და სანოვაგეს განსაკუთრებული ბეჭედი და დამღა ექმნება დასმული, რითაც ცხადი იქმნება ის, რომ ბეჭედ და დაღ-დაკრული სანოვაგე შემოწმებულია სასანიტარო ბეითალთა მიერ.

დადგენილი ნიშნები ამგვარის სახისაა:

1) მსხვილ-ფეხა საქონლის ხორცს (კამბეჩის ხორცს გარდა) დაკრული ექმნება მოგრძო რგოლის მსგავსი დამღა, შუაში მოთავსებული ექმნება სამი ასო: „**Т. Г. Б.**“ და თვის რიცხვი, დამღა იის ფერისა იქმნება.

2) წვრილ-ფეხა საქონლის ხორცს (ცხვრისას, ბატკნისას, თხისას და ხბოსას) ასეთივე პატარა სახის იის ფერი დამღა ექმნება.

3) კამბეჩის ხორცს—საგანგებო ოთხ-კუთხიანი დამღა სამის ასოთი: **Т. Г. Б.**“ და წარწერით „**буйволъ**“ (კამბეჩი). გასარჩევად დამღა მწვანე ფერისა იქმნება.

4) ღორის ხორცს ამომწვარი ექმნება სამი ასო „**Т. Г. Б.**“

5) ამას გარდა, შინაგან საქმეთა მინისტრის 1897 წლის 13 ოქტომბრის მე-517-№-რის განკარგულების თანახმად საყასბოდგან გასასყიდად გამოტანილ იქმნება ზოგიერთი სუბუქად დაშავებული ხორცი, რომელიც კარგად მოხარშვისა და მოხრაკვის შემდეგ გამოსაყენებელი იქნება საჭმელად. ამგვარ სანოვაგეს შესაფერი ნიშანი ექმნება დაკრული, სახელდობრ: ა) ღორთველით სუბუქად დაავადებულს ღორის ხორცს ამომწვარი ექმნება სამი ასო „**Т. Г. Б.**“ და ეწერება: „**финны**“, ბ) სუბუქად დაავადებულ მსხვილ ფეხა და წვრილ ფეხა საქონლის ხორცს—იის ფერი დამღა ექმნება დაკრული, დამღაში მოთავსებული იქმნება სამი ასო „**Т. Г. Б.** და ზედ ეწერება: „**финны**“.

(2—6.—2).